



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

26

ევროკავშირ-საქართველოს პოლიტიკური  
ასოცირება: მოქმედების სფერო და აგზიცი

კახა გოგოლაშვილი



ექსპერტის აზრი

2014



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## **ექსპერტის აზრი**

კახა გოგოლაშვილი

**ევროკავშირ-საქართველოს პოლიტიკური  
ასოცირება: მოქმედების სფერო და ამბიციის**

**26**

**2014**



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2014 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-6917-8

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც საქართველომ ცოტა ხნის წინ გააფორმა, ხელს უწყობს პოლიტიკურ ასოცირებას, როგორც უმთავრეს უპირატესობას. რას ნიშნავს ეს რეალურად საქართველოსთვის?

ეს საკითხი ოთხი განსხვავებული კუთხიდან შეიძლება განვიხილოთ:

- ა. ასოცირების შესახებ შეთანხმების დებულებების ანალიზი
- ბ. ეფექტიანად გამოყენების სფეროები
- გ. შიდა ცვლილებები და გარე გავლენები
- დ. საგარეო კონტექსტი

### **ა. ასოცირების შესახებ შეთანხმების დებულებების ანალიზი**

საქართველოსთვის შეთავაზებული პოლიტიკური ასოცირების მოდელი მხარეებს შორის თანამშრომლობის ორ, ფორმალური თვალსაზრისით განსხვავებულ, მიმართულებას მოიცავს, კერძოდ, დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების გამყარების პროცესს და საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში თანამშრომლობას. რეალურად, ევროკავშირს მკაფიოდ არასდროს გაუმიჯნავს ერთმანეთისგან, ერთი მხრივ, დემოკრატიული განვითარების მხარდაჭერა (ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე) და, მეორე მხრივ, სტაბილურობა და უსაფრთხოება. ნებისმიერი ჩარჩოხელშეკრულება, რომელიც ევროკავშირს მესამე ქვეყნებთან გაუფორმებია, ამ მიდგომას ასახავს, რაც არის არა შემთხვევითობა, არამედ ევროკავშირის ფუნდამენტური მისიის გამოხატულება. „შეთანხმება ევროპის კავშირის შექმნის შესახებ“ (TEU) ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას იმ სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით განსაზღვრავს, „რომლებმაც სტიმული მისცეს თავად მის შექმნას, განვითარებას და გაფართოებას და რომელთა გავრცელებასაც ის მთელ მსოფლიოში ცდილობს: დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების და ფუნდამენ-

ტური თავისუფლებების საყოველთაოობა და განუყოფლობა, ადამიანის ღირსების, თანასწორობისა და სოლიდარობის პრინციპების პატივისცემა და გაერთიანებული ერების ქარტიის და საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვა“.\* ამ ხელშეკრულების თანახმად, ევროკავშირი ეცდება, დაამყაროს ურთიერთობები და განავითაროს პარტნიორობა მესამე ქვეყნებთან და საერთაშორისო, რეგიონულ ან გლობალურ ორგანიზაციებთან, რომლებიც ზემოთ მითითებულ პრინციპებს „იზიარებენ“. TEU გზას უხსნის მესამე ქვეყნებთან ისეთი მაღალი დონის თანამშრომლობას, რომელიც მიზნად ისახავს ღირებულებების, ფუნდამენტური ინტერესების, უსაფრთხოების, დამოუკიდებლობისა და ერთიანობის დაცვას. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა ესწრაფვის დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების კონსოლიდირებასა და მხარდაჭერას და ამავე დროს ხელს უწყობს მშვიდობის შენარჩუნებას, ახდენს კონფლიქტების პრევენციას და აძლიერებს საერთაშორისო უსაფრთხოებას. ყველა ამ მისწრაფებაში ევროკავშირი მოქმედებს არსებული საერთაშორისო კონვენციების, ქარტიებისა და სათანადოდ აღიარებული ვალდებულებების შესაბამისად. ჩვენ არ შეგვხვბით საერთაშორისო თანამშრომლობის სხვა ამოცანებს, რომლებიც ევროკავშირის ფუძემდებლურ ხელშეკრულებებშია განსაზღვრული და განვაგრძობთ იმის მტკიცებას, რომ საერთაშორისო პოლიტიკის ორი გამოკვეთილი მიმართულება, რომელთა მითითებითაც ჩვენი მსჯელობა დავიწყეთ, მჭიდროდ უკავშირდება ევროპული ინტეგრაციის ლოგიკასა და სულისკვეთებას.

ევროკავშირის ფუძემდებლური ხელშეკრულებებიდან ნათელი ხდება, საგარეო თანამშრომლობის შესახებ მესამე ქვეყნებთან (ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან) დადებული შეთანხმებები რატომ მოიცავს რიგ დებულებებს, თითქოს ეს *erga omnes* ვალდებულებებს წარმოადგენდეს. ევროკავშირის ხელმოწერილი ნებისმიერი საერთაშორისო ჩარჩო-

\* „ხელშეკრულება ევროპის კავშირის შექმნის შესახებ“, მუხლი 21. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: [www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/228848/7310.pdf](http://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/228848/7310.pdf)

ხელშეკრულების ეს საერთო დებულებები პოლიტიკური დიალოგის დამყარებას ნიშნავს და დემოკრატიული ღირებულებების, მშვიდობისა და უსაფრთხოების პატივისცემის და გაძლიერების მიზანს ემსახურება. ამ მხრივ ევროკავშირისთვის მნიშვნელობა არა აქვს, რა ტიპის თანამშრომლობის ხელშეკრულება ფორმდება, მაგალითად, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (რომელიც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან არის ხელმოწერილი), ევროკავშირ-ხმელთაშუაზღვის აუზის სახელმწიფოებთან ასოცირების შეთანხმება, სტაბილიზებისა და ასოცირების შეთანხმება (დასავლეთ ბალკანეთის სახელმწიფოებისთვის) თუ „ევროპის შეთანხმება“. 2000 და 2002 წლებში მექსიკასა და ჩილესთან გაფორმებული ხელშეკრულებებიც კი იმავე დებულებებს მოიცავს, რომლებიც ანალოგიურ პრინციპებზე დაყრდნობით პოლიტიკური დიალოგის საფუძველს ქმნიან.

ვნახოთ, პოლიტიკური თანამშრომლობის სიღრმისა და მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების თვალსაზრისით თუ არსებობს რაიმე განსხვავება ხელშეკრულებების ზემოთ ნახსენებ ფორმებს შორის. ზოგჯერ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს ხელშეკრულების სახელწოდებამ. ტერმინი „ასოცირების შესახებ შეთანხმება“, რომელსაც ევროკავშირი სხვადასხვა გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმებების დასახელებად იყენებს, შესაძლოა არ გამოხატავდეს დაახლოების თანაბარ ხარისხს ყველა სფეროში. ევროკავშირ-ხმელთაშუა ზღვის აუზის სახელმწიფოებთან ასოცირების შეთანხმებები, რომლებიც მალრიბის და მაშრიყის არაბულ სახელმწიფოებთან 1995 წლიდან დაიწყო, პარტნიორობს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმებს ამყარებს, რითაც ეს შეთანხმებები შეესაბამება სტაბილიზებისა და ასოცირების შეთანხმებებსა თუ ევროპის ხელშეკრულებებს. მართლაც, ამ შეთანხმების მიხედვით, პოლიტიკური დიალოგი ზემოაღნიშნულ ქვეყნებთან ნაკლებ მნიშვნელოვანი ჩანს, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებებთან შედარებითაც კი, რომლებიც თითქმის იმავე პერიოდში იმ ქვეყნებთან დაიწყო, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღმოცენდნენ.

იმისათვის, რომ სხვადასხვა ხელშეკრულებაში თანამშრომლობის მისწრაფების ხარისხი შეგვეფასებინა, შევადარეთ იმ ვალდებულების ფორმულირებას, რომელიც *საერთაშორისო საკითხებზე პოზიციების დაახლოებას* ეხება.

დავინწყით „ევროპის კავშირის შექმნის შესახებ ხელშეკრულებით“, რომელშიც ნევრ სახელმწიფოებს შორის საგარეო პოლიტიკის კოორდინირების ამოცანა შემდეგნაირად არის განსაზღვრული: „საგარეო პოლიტიკის პრინციპებისა და ამოცანების ფარგლებში ევროკავშირმა უნდა აწარმოოს, განსაზღვროს და განახორციელოს საგარეო და უსაფრთხოების საერთო პოლიტიკა; ეს პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს ნევრ სახელმწიფოებს შორის *პოლიტიკური სოლიდარობის* ჩამოყალიბებას, ზოგადი ინტერესის საკითხების იდენტიფიცირებას და ნევრი სახელმწიფოების ქმედების *მუდმივად მზარდი ხარისხით დაახლოების* მიღწევას“. *მუდმივად მზარდი დაახლოება* წარმოადგენს ნევრ სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური თანამშრომლობის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს. *პოლიტიკური სოლიდარობის* მიღწევაც საკმაოდ ძლიერი ორიენტირია, მაგრამ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში თანამშრომლობის ამბიციის მაქსიმალური დონე არ შეესაბამება იმ დონეს, რომელსაც ევროკავშირი სხვა სფეროებში გამოხატავს, უპირველესად – ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში, რომელშიც „ევროპის კავშირის შექმნის შესახებ ხელშეკრულება“ ექსკლუზიურ კომპეტენციას განსაზღვრავს და რომელიც ზესახელმწიფოებრივი სიმაღლეებიდან იმართება. ამიტომ არავინ უნდა ელოდოს საერთაშორისო ხელშეკრულებაში ამ შინაარსის დებულებების გამოყენებას უფრო მაღალი ან მსგავსი ხარისხითაც კი.

ზემოთ ნახსენებ ფორმატებს შორის განსხვავებების გაანალიზებისთვის კარგ მაგალითებს მაროკოსთან, ჩილესა და სერბეთთან დადებული სამი სხვადასხვა ტიპის ასოცირების შეთანხმება წარმოადგენს. მაროკოსთან ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, „მხარეებს შორის *დაახლოების ხელშეწყობა საერთო ინტერესის საერთაშორისო საკითხების უკეთ გააზრებისა და რეგულარული კოორდინირების* გზით

უნდა მოხდეს; თითოეულმა მხარემ უნდა გაითვალისწინოს მეორე მხარის პოზიცია და ინტერესები; საკუთარი წვლილი შეიტანოს ხმელთაშუა ზღვის რეგიონის და განსაკუთრებით, მაღრიბის რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამყარებაში“. ჩილესთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში წერია, რომ: „მხარეებმა შეძლებისდაგვარად უნდა მოახდინონ თავიანთი პოზიციების კოორდინირება, შეასრულონ ერთობლივი ინიციატივები შესაბამის საერთაშორისო არენაზე და ითანამშრომლონ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში... ითანამშრომლონ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო კონვენციებისა და საკუთარი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად“. ამ ორი ხელშეკრულებიდან მეტ-ნაკლებად თანაბარი ხარისხის ვალდებულებებს ვხედავთ უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის სფეროში. ამასთან, ეს თანამშრომლობა მიზნად შედარებით ვიწრო ამოცანების მიღწევას ისახავს, კერძოდ: ა) თანამშრომლობას რეგიონულ საკითხებში (მაროკო) და ბ) ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას (ჩილე). პოზიციების დაახლოება ნახსენები არ არის, მაგრამ მხარეებმა ან უნდა „გაითვალისწინონ“ (მაროკო), ან „შეძლებისდაგვარად უნდა მოახდინონ პოზიციების კოორდინირება“. აშკარად უფრო ღრმა თანამშრომლობაა შეთავაზებული სერბეთისთვის, რომელთანაც გაფორმებული შეთანხმება მოითხოვს: „...საერთო ხედვებს ევროპაში უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე, მათ შორის თანამშრომლობას იმ სფეროებში, რომლებსაც ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების საერთო პოლიტიკა ითვალისწინებს“. პირველ რიგში, ზემოთ ნახსენები „საერთო ხედვები“ „საერთო პოზიციის“ ცნებას ჰგავს, რომელიც „ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების“ 25-ე მუხლშია განსაზღვრული.\*\* ეს შეთანხმება (იგულისხმება სერბეთთან სტაბილიზებისა და ასოცირების შესახებ შეთანხმება) უდავოდ მეტ სივრცეს ითვალისწინებს უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობისთვის, ვიდრე წინა ორი ხელშეკ-

\*\* „ხელშეკრულება ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ“, მუხლი 25. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: [www.ecb.europa.eu/ecb/legal/pdf/c\\_32620121026en.pdf](http://www.ecb.europa.eu/ecb/legal/pdf/c_32620121026en.pdf)



რულება. იგივე დებულებები ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებიდან (რომელიც 1999 წლიდან არის ძალაში) ითვალისწინებს: „...ორმხრივად საინტერესო საერთაშორისო საკითხების შესახებ პოზიციების მზარდ დაახლოებას, რაც გააძლიერებს უშიშროებასა და სტაბილურობას რეგიონში... გააძლიერებს სტაბილურობასა და უსაფრთხოებას ევროპაში“. აშკარაა, რომ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაც კი, რომელიც ბევრად ჩამოუვარდება ზემოაღნიშნულ ასოცირების შეთანხმებებს ვაჭრობის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით (მხოლოდ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს სთავაზობს), პოლიტიკური დაახლოების თანაბარ, ზოგ შემთხვევაში – ნაკლებ (სერბეთი), თუმცა ზოგჯერ უფრო მაღალ ხარისხს აჩვენებს, როდესაც საქმე უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობას ეხება. ლოგიკურია, რომ 2007 წელს საქართველოს შესთავაზეს შეერთებოდა ევროკავშირის „საერთო პოზიციის“ განცხადებებს, რამაც საქართველოს ევროკავშირთან პოლიტიკური თანამშრომლობის ფორმატი პრაქტიკულად იმავე რანგში აიყვანა, როგორც ევროკავშირს აქვს დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებთან სტაბილიზებისა და ასოცირების შეთანხმების საფუძველზე.

თუ შევისწავლით ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას (რომელიც უკრაინასა და მოლდოვასთან ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებების ანალოგიურია), დავინახავთ სერიოზულ მცდელობას, რომ ევროკავშირ-საქართველოს პოლიტიკური თანამშრომლობა აყვანილ იქნეს რაც შეიძლება მაღალ დონეზე, როგორც თანამშრომლობის სიღრმის, ისე მოქმედების სფეროთა დაფარვის თვალსაზრისით. შეთანხმება მიზნად ისახავს, რომ პოლიტიკური დიალოგი „...გაზრდის პოლიტიკური თანამშრომლობის ეფექტიანობას და ხელს შეუწყობს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში დაახლოებას, ურთიერთობების გამყარებას ამბიციური და ინოვაციური გზით“. პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავება დანახულია პოლიტიკური და უსაფრთხოების პოლიტიკის მზარდი დაახლოების პრიზმაში.

ასოცირების შეთანხმება ისეთ საკითხებს ეხება, როგორებიცაა: საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა მრავალმხრივი თანამშრომლობის ეფექტიანად განხორციელების საფუძველზე; მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა; საერთაშორისო უსაფრთხოება და კრიზისის მართვა; გლობალურ და რეგიონულ გამონვევებსა და მთავარ საფრთხეებზე რეაგირება; ტერიტორიული მთლიანობის, საერთაშორისო დონეზე აღიარებული საზღვრების ურღვევობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პრინციპების ხელშეწყობა; ევროპის კონტინენტზე მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელშეწყობა; უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფერო და რეგიონული თანამშრომლობა.

თითქოსდა ევროკავშირის ფუძემდებლური დოკუმენტის („ხელშეკრულება ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ“) 1-ლი თავის 21-ე მუხლის (ევროკავშირის საგარეო საქმიანობის ზოგადი დებულებები) ირიბი მითითებით, საქართველოსთან ასოცირების შეთანხმება მნიშვნელოვანია იმ ნაწილში, რომელიც საგარეო და უსაფრთხოების საერთო პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობას ეხება, ვინაიდან ერთ-ერთი ამოცანა შემდეგნაირად არის განსაზღვრული: „... გააძლიეროს დემოკრატიული პრინციპების, კანონის უზენაესობისა და კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, მათ შორის მედიის თავისუფლებისა და იმ პირების უფლებების პატივისცემა, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობებს, ასევე წვლილი შეიტანოს შიდა პოლიტიკური რეფორმების კონსოლიდაციაში“.

ცალკე დებულება დაეთმო თანამშრომლობას კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების და კრიზისის მართვის, რეგიონული სტაბილურობის, განიარაღების, იარაღის გაუვრცელებლობის, იარაღის და ექსპორტის კონტროლის საკითხებში. კონფლიქტის პრევენციასა და კრიზისის მართვაში თანამშრომლობა მოიცავს რეალურად პროაქტიურ ამოცანას – საქართველოს შესაძლო მონაწილეობას ევროკავშირის ეგიდით განხორციელებულ სამოქალაქო

და სამხედრო კრიზისების მართვის ოპერაციებში.

**არც ერთი სხვა შეთანხმება, რომელიც ევროკავშირს მესამე ქვეყნებთან (ნატოს ქვეყნების გამოკლებით) გაუფორმებია, არ არის ასე დეტალურად განერილი და ამბიციური პოლიტიკური თანამშრომლობის და უსაფრთხოების სფეროში ვალდებულებების თვალსაზრისით.** ამკარაა, რომ სტაბილიზებისა და ასოცირების შეთანხმებაშიც (დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებთან) კი ევროკავშირს ასეთი დეტალები არ დაუკონკრეტებია და საკმაო სივრცე დაუტოვა პოლიტიკურ ფორმატს, განსაზღვროს პარტნიორებს შორის ინტერაქციის არეალი.

## **ბ. ეფექტიანი გამოყენების სფეროები**

მთელი რიგი ფაქტების მოყვანა შეიძლება იმის დასამტკიცებლად, რომ ასოცირების შეთანხმების განხორციელება, პრაქტიკულად, მის ხელმონერასა და რატიფიცირებამდე დაიწყო:

- ევროკავშირის მცდელობა, მხარი დაუჭიროს უკრაინას ბრძოლაში, დაიცვას ტერიტორიული მთლიანობა, მოახდინოს სახელმწიფოს კონსოლიდაცია და თავიდან ააცილოს ეკონომიკური სირთულეები, უკვე აჩვენებს პოლიტიკური ასოცირების დაწყების შედეგებს. საქროების შემთხვევაში, საქართველოსაც შეუძლია ასეთივე დამოკიდებულების მოლოდინი ჰქონდეს ევროკავშირისაგან. ბოლოს და ბოლოს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების განგრძობითი ოკუპაციის პირობებში ჩვენ ვხედავთ, რომ ევროკავშირი არ ამცირებს თავის პოლიტიკურ მხარდაჭერას, განსაკუთრებით არალიარების პოლიტიკის საქმეში.
- 2013 წლის 29 ნოემბერს საქართველომ ხელი მოაწერა ჩარჩოხელშეკრულებას ევროკავშირის ეგიდით განხორციელებულ კრიზისის მართვის ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობაზე, რაც ასოცირების შეთანხმების შესაბამისი დებულებების პრაქტიკული რეალიზების შესაძლებლობას იძლევა.
- ევროკავშირსა და საქართველოს შორის უკვე მიმდი-

ნარეობს კონსულტაცია რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე. მთავრობის მეთაურების, საგარეო საქმეთა მინისტრების და სხვა მაღალჩინოსნების ვიზიტები საქართველოში განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში გახშირდა და საკითხთა ის სპექტრი, რომლებსაც ისინი ქართველ კოლეგებთან განიხილავენ, მომავალ ასოცირებულ პარტნიორებს შორის პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის მზარდ ხარისხს აჩვენებს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ზოგადი დასკვნის სახით აღინიშნოს, რომ ფაქტობრივი ურთიერთობების მთავარი მამოძრავებელი ძალა ის ინტერესებია, რომლებიც ხშირად ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს უძღვის წინ. იგივე ტენდენცია აღინიშნებოდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების შემთხვევაში, რომელიც ძალაში 1999 წელს შევიდა, მაგრამ ინტენსიური პოლიტიკური დიალოგი, მათ შორის თანამშრომლობის ინსტიტუტების ფუნქციონირება, 1997 წელს იქნა ინიცირებული. სავარაუდოდ, ასოცირების შეთანხმებაში განსაზღვრული დებულებების უმრავლესობის განხორციელება უკვე დაწყებულია ან მალე დაიწყება როგორც მხარეების კეთილი პოლიტიკური ნებისა და ინტერესის შედეგი. მაგრამ ამან არ უნდა დააკნინოს თავად შეთანხმების მნიშვნელობა, რომელიც თანამშრომლობის ინსტიტუციურ და იურიდიულად სავალდებულო საფუძველს ამყარებს.

## **გ. შიდა ცვლილებები და გარე გავლენები**

მნიშვნელოვანი კითხვაა, გამოიწვევს თუ არა ასოცირების შეთანხმება ცვლილებებს საქართველოს შიდა დღის წესრიგში და დაეხმარება თუ არა ქვეყანას ნებისმიერი გაუთვალისწინებელი და არასასურველი მოვლენის თავიდან აცილებაში. ამკარაა, რომ ძლიერი აქცენტი 2014 წლის 27 ივნისს შეთანხმების ხელმოწერაზე კეთდებოდა. ეს ერთგვარი ზეოპტიმიზმის მაჩვენებელია, ვინაიდან შეთანხმება მხოლოდ მას

შემდეგ შევა ძალაში, რაც ევროკავშირის 280 ნევრი ქვეყნის პარლამენტი, ევროპარლამენტი და საქართველოს პარლამენტი (ამ უკანასკნელმა უკვე მოახდინა შეთანხმების რატიფიცირება) მის რატიფიცირებას მოახდენენ. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, რომელიც ასოცირების შეთანხმების შემადგენელი ნაწილია, მხარეების მიერ ხელმოწერიდან მალევე (ორი თვის თავზე) ამოქმედდება, მაგრამ პოლიტიკური დიალოგი და სხვა „არასავაჭრო“ დებულებები ამოქმედების საკუთარ რიგს უნდა დაელოდონ, რაც ორიდან ხუთ წლამდე პერიოდს წაიღებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ასოცირების შეთანხმების ხელმოწერას ერთგვარ წყალგამყოფად აღიქვამენ, რომლის შემდეგაც ევროპული ინტეგრაციის გზიდან გადახვევა არ მოხდება. ეს ამკარად დაასრულებს ყველა სპეკულაციას *ევრაზიის კავშირში* შესაძლო განწევრიანების, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი არჩევანის, შესახებ. ეს ასევე გააძლიერებს საზოგადოებრივ მოთხოვნას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და უსაფრთხოების სფეროებში რეფორმების გატარების შესახებ; გაზრდის საზოგადოებრივ მხარდაჭერას ასეთი რეფორმების მიმართ; გაამყარებს ქვეყნის ხელმძღვანელობის შიდა და საგარეო ასპარეზზე თავდაჯერებულობას და, სავარაუდოდ, გააძლიერებს მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განცდას ინვესტიციების, მოხმარებისა და ეკონომიკური აღმავლობის სტიმულირების პარალელურად. კიდევ რამ შეიძლება იმოქმედოს ამ პროცესზე? სამთავრობო ინსტიტუტების კონსოლიდირება სტაბილურობის და ეკონომიკური ზრდის ამოცანის ირგვლივ, სიღარიბის დაძლევა და ბიზნესისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფა – ყველაფერი ეს აუცილებლად გასათვალისწინებელი ორიენტირებია. ამ სფეროებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაზე ინტენსიური მუშაობაა საჭირო. სხვა შემთხვევაში, ნეგატიური კონოტაცია, რომელიც ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ პოლიტიკის რეალური ფუნქციონირების უკუსვლასთან იქნება დაკავშირებული, დააზარალებს იდეას და საზოგადოების მხარდაჭერას ევრო-

პული ინტეგრაციის პროცესში საქართველოს მონაწილეობის მიმართ.

## **დ. საგარეო კონტექსტი**

ევროკავშირთან ასოცირებას საქართველო ძალიან რთულ დროს იწყებს. რუსეთის იმპერია მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების ანექსიას აგრძელებს, რითიც ძირს უთხრის საერთაშორისო საჯარო სამართლის საფუძვლებს, ანგრევს ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურას და რეგიონში ძალის პოლიტიკის სტიმულირებას ახდენს. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერილი სამივე პარტნიორი ქვეყანა რუსეთთან კონფლიქტშია და მათი ტერიტორიები რუსეთს აქვს დაპყრობილი. რუსეთის დღემდე განხორციელებული ქმედებებით ძნელია ამ ქვეყნის საბოლოო მიზნის განსაზღვრა, მაგრამ აშკარაა, რომ რუსეთი ცდილობს, ეს სამი ქვეყანა ევროპასთან ინტეგრირების გზას ჩამოაცილოს და საკუთარი გავლენის სფეროში მოაქციოს. უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში მიმდინარე კონფლიქტი შესაძლოა ქვეყნის სხვა ნაწილებსაც გადაედოს, მაგრამ ასევე შესაძლოა მეზობელი ქვეყნებიც მოიცვას, მაგალითად, საქართველო. არასტაბილურობა სირიასა და ერაყში და სულ ახლახან – ისრაელსა და პალესტინაში, დამატებით პრობლემებს უქმნის მშვიდობასა და უსაფრთხოებას და დიდი მოთამაშეების ყურადღება ამ რეგიონიდან (შავი და კასპიის ზღვების) ახლო აღმოსავლეთისკენ გადააქვს. ამავე დროს, საქართველოს მთავარმა პარტნიორებმა, ევროკავშირმა და შეერთებულმა შტატებმა, ჯერ კიდევ სრულად ვერ აღმოფხვრეს ეკონომიკური კრიზისის შედეგები და მათი პოტენციალი, რომ დაიცვან პარტნიორების ინტერესები, არ არის მაღალი. ასევე მხედველობაშია მისაღები ევროკავშირის წევრი ქვეყნების ენერგეტიკული დამოკიდებულება და მათი ეკონომიკური კავშირები რუსეთთან, რომელთა განწყვეტაც ადვილი არ არის.

ამ პრობლემების შემსუბუქება და მათი რისკები ამჟამად ევროპისა და მისი პარტნიორების ერთ-ერთი უმ-

თავრესი პრიორიტეტია. ახლად „ასოცირებულ“ ქვეყნებში უნდა გაიზარდოს ამ იმპულსის მნიშვნელობა, რეგიონული პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, და მათ ეს ევროკავშირთან უნდა გაიზიარონ. საქართველოს და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნების უსაფრთხოება დამოკიდებული იქნება არა მარტო ევროკავშირის და სხვა მეგობრების ნებაზე, არამედ თვით ამ ქვეყნების მზადყოფნაზე, დაიცვან თავიანთი პოზიციები და არჩეულ პრინციპებსა და ღირებულებებს უერთგულონ. ამ თვალსაზრისით, ახლა ყველა ჩვენგანისთვის – პარტნიორი ქვეყნებისა და ევროკავშირისთვის – შესაბამისი დრო და შესაძლებლობაა, რომ ძლიერი და მიზანდასახული პოლიტიკური თანამშრომლობა გაიშალოს. საქართველოსთვის ეს არის შანსი გამოვიდეს ბავშვობის ასაკიდან და საერთაშორისო არენაზე ზრდასრული მოთამაშედ წარსდგეს.